თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2014 წლის 14 აგვისტო

დ. თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დაყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

მართვის ოპტიმიზაციის მიზნით დაიყოს თიანეთის მუნიციპალიტეტი და შეიქმნას შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები:

1. დ. თიანეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - დ. თიანეთი და სოფლები: ჭურჭელაურები, მამადაანები, საჭურე, თეთრახევა);
2. დ. სიონის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – (სამოქმედო ტერიტორია – დ. სიონი და სოფლები: ორხევი, საჯინიბო, ბადაანი, ბოჭორმა ომარაანი ფიჭვიანი, ყუდრო, გრძელველები);
3. არტნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზემო არტანი, ქვემო არტანი, ბოდახევა, დულუზაურები, თეთრაულები, კვერნაულა, ლიშო, სახევი, სხლოვანი, ქუშხევი);
4. ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ახალსოფელი, ჩაბანო, გოჯიაანები, ჭიაურა, ხაიშო, კაწალო);
5. ზარიძეების ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზარიძეები, ბუჭყინტა, ვერხველი, ზემო შარახევი, ქვემო შარახევი, ზენამხარი, იარაჯულები, ივლიაანთგორი, ლახატო, საკრეჭიო, ხოფცა, ჯიჯეთი);
6. ნაქალაქრის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები ზემო ნაქალაქარი, ქვემო ნაქალაქარი, ვეძათხევა, დორეულები, ბეწენწურები, მაგრანეთი, ზურაბები);
7. ჟებოტის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ჟებოტა, თეგერაანები, ძებნიაურები, ლელოვანი, თხილი);
8. სიმონიანთხევის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სიმონიანთხევი, გორანა, ნადოკრა, თოლენჯი, მელიასხევი, ცალუღელაანთკარი, ჩიტაურები);
9. ტუშურების ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტუშურები, კახოიანები, ალაჭანი, წიკვლიაანთკარი, ჯერვალიძეები);
10. ღულელების ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ღულელები, ბალებისხევი, წყაროთუბანი, ტოლაანთსოფელი, თრანი, სიონთგორი, ხადოელები კვერნაულა, კვირიასხევი, გუდანელები, თოხოლჩა);
11. ჩეკურაანთგორის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ჩეკურაანთგორი, ალოტი, ბოკონი, ევჟენტი, ველები, ძირხვნიანი);
12. ხევსურთსოფლის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ხევსურთსოფელი, საყდრიონი, დევენაანთხევი).

მუხლი 2

ადმინისტრაციული ერთეულის საქმიანობას წარმართვას გამგებლის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, რომელიც ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების შექმნის და მათი დამტკიცების შესახებ" თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 აპრილის №32 დადგენილება

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

თიანეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მინდია შეთეკაური**